

მინაშერი საძვალე.

კოვენტ-კვირეული გაზეთი

Nº 23.

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ ପାତ୍ର

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ୪ ୧୯୬.

წელიწადი მეხუთე.

ԱՅՈՒԹՅԱ, 17 ՈՅԵՐՈՎ 1912 ԵՊՀՈ

ପ୍ରମାଣିତ ହେଲା । ସାଥୀ କାନ୍ଦିଲାଙ୍କ ଏହାରେ କାନ୍ଦିଲାଙ୍କ ହେଲା ।

4	ବ୍ୟାଙ୍ଗମଣ୍ଡଳ ପରିଷଦ :	କାନ୍ତପାତ୍ର ପରିଷଦ :
2	ବ୍ୟାଙ୍ଗମଣ୍ଡଳ ପରିଷଦ :	କାନ୍ତପାତ୍ର ପରିଷଦ :

କାହିଁ କାହିଁ କାହିଁ କାହିଁ କାହିଁ କାହିଁ କାହିଁ କାହିଁ କାହିଁ କାହିଁ

„ପରିବହନ ଓ କ୍ଷେତ୍ରର ଉପରେ ଯାଏନ୍ତିରୁ କିମ୍ବା କିମ୍ବା

1. გზა ქრისტესი—მღ. იოანე ლუკიანოვი-
სა; 2. სიტყვა იაკობ გოგებაშვილის საფლავზე დაკრ-
ძალვის დღეს—დეკ. 6. თაღაქვაძესი; 3. სიტყვა მღვ.
დ-ტი ჩხაიძისა ი. გოგებაშვილის სულის მოსახსენებ-
ლად გადაწყილ პანაშვილზე 7 ივნისს; 4. უცხოთის
მიმოხილვა—ხომლელისა; 5. მღვდელთა საყურადღე-
ბოდ—მღ. 6. დეკიძისა; 6. ქართველ ქრისტა და
სამღვდელოების საყურადღებოდ—მღ. 8. ელენჯერი-
ძისა; 7. ახლო-მახლო—სორტული სტუმრისა; 8. რას
გვწერენ? კაცის მონასტერი—სტუმრისა; 9. სამღვდე-
ლოების ჯამბავების მიღების შესახებ—დეკ. ერისონი-
სა; 10. მაღლობის გამოცხადება—ჩხოლაძის.

8% କରୁଟିଏବୁ.

1.

აპოლოინა.

„მე ვარ გზა, ჰეშმარიტება
და ცხორვება“. (იოან. 14, 6)

მთელი ისტორია კაცობრიობისა და აგრე-
თვე თანამედროვე ცხოვრება ურწმუნოებისა და
წარმართობისა — წარმოადგენს ერთს გამჭულ სი-
ბნეებს, რამელშიაც, როგორც დაფლეთილ
ღრუბლებში, მხოლოდ აქა-იქ ციმუშებენ კეშ-
მარიტების სხივი, მაგრამ ისიც მეტი-მეტად
რამახინ ჯებულნი.

ბოროტება, გარეუნილობა, უთვალევი და
შესახარი დანაშაულობანი იზრდებიან განსაკუთ-
ფრებელის სისწრაფით, ეფინებიან ცხოვრებას
საშინელი და ბოროტის მოსახლეების ღრუ-

ბელივით, ღვრია, ყოვლის-შემშესვრელი ნია-ლვარივით!..

მეტნიერების ბრწყინვალე აღმოჩენანი, ხე-ლოვნების საუცხოვო ნაწარმოები, კულტუ-რისა და უკოლიზაციის მოპოვებანი, — ყოვე-ლივე ეს-ვერ აქმაყოფილებს აღამიანს, ვერ აძლებს მის სულს, — და ჩვენი დროის კაცი „სა-სოწარკვეთილად სწუხს“, თითონაც არ იცის რატომ და რისთვის?..

ჯერ არასოდეს ქვეყნიერებაზე ამდენი თვით-მკლელობა არ ყოფილა, როგორც დღეს. და-ლვრემილ პესიმიზმ ისე ჯერ არ დაუცყრია, კაცობრიობა, როგორც ახლა... მეტნიერება-შიაც, ლიტერატურაშიაც ჯოჯოხეთურია აღით ანთია დამატული ბორიტება, საშინელი მწუ-ხარება და უიმედო სასოწარკვეთილება... ხალ-ხი წასულა ქრისტე მაცხოვრისაგან, რომელიც არის წყარო სამარადისა სინათლისა, და მიდის კოდვისა და ღვთის-გმობის ბნელ უფსკრული-საკენ!...

ზოგიერთი კეგიანი ადამიანები ასეთი მდგო-მარებილებან ხსნას საზოგადოებრივ გარეგან კმა-ყოფილებასა დი კეთილდღეობაში ხედავენ, გა-რეშე სარწმუნოებისა და სინდისის კანონებისა...

შორიდან ასეთი ქვეყნიური ბელნიერება კაცს შშვენიერათ და მიმზიდველათ ქვენება, მა-გრამ რაც უფრო უახლოვდება ხალხი ამ საძიე-ბელ იდეალს, მით უმეტეს მწუხარებას განიც-დის იგი: ის, რასაც კაცობრიობა ასე ხარბად ექებდა, წარმოუდგება მას საბრალო ლეშად, რო-მელიც სულიერი გახრწნილების სიყრალეს ივ-რცელებს გარშემო... პატიოსანი, მაგრამ სუსტი ხასიათის იდამიანები ვერ იტარენ მოტუშების ასეთ სურაოს, და ძალით ესაღმებიან წუთი-სო-ფელს...

ეს მდგომარეობა იმდენათ სერიოზულია და მასთან აუტანელი, რომ მისი გაქარწყლება შეუძლებელია. ქება-დიდება ამ მდგომარეობისა მეტნიერებისა თუ ლიტერატურის მხრივ წარ-მოადგენს მხიარულ ნადიმს შეი ჭირის მძეინვა-რების დროს. უნგებლივ აგონდება კაცს მაც-ხოვრის დეთავებრივი საუბარი სამარიტელ დედა-კუთან. ხალხი იუსტებს მხოლოდ ჭის წყალს, —

სიმდიდრეს, ღიღებას, გარეგან კეთილდღეო-ბას, ხელოვნებას, პოეზიას, ლიტერატურას, მე-ტნიერებას... გარნა ყოველივე ეს ვერ აქმაყო-ფილებს აღამიანის უკვდავ სულს; იგი კმაყ-ფილდება მხოლოდ ღვთის სამარადისო კეშმარი-ტებისა და ქრისტეს სიმართლის „წყლით ცხო-ველითა“..

გონების ამპარტეინებით დაბრმავებული ხალხი ჰეფიქრობს, თითონვე გამოსკედოს თა-ვისთვის მტკიცე გარეგანი ბელნიერება; მაგრამ ბედნიერება არ ეძლევა მას, შორს გაურბის და თითქოს ეცინის მის საცოდავ და ამამ შეცა-დინეობას...

თანამედროვე ქვეყნის სხვანაირი სურათის წარმოდგენა შეუძლიანთ მხოლოდ სულიერად ბრძებს, ან სრულიად გაუგებრებს. „არ არის სიმართლე ქვეყნად“ (გარეგანი კმაყოფილება და კეთილდღეობა) — ამბობს ჩვენი გონიერი და გულწრფელი ხალხი.

მაშ რა არის მიზეზები კაცობრიობის ამ უღლინობისა, რაში მდგომარეობს იგი და რა მნიშვნელობა აქვს გას?

არის თუ არა ქვეყნად საკმაოთ სარწმუ-ნო ხსნა ასეთ სამწუხარო მოვლენათა მიზე-ზებისა?

კაცობრიობა ჯერ კიდევ თავის ცნობიე-რების პვრელ ხანებში ექებდა ქვეყნიურ ტრა-გედის ხსნას, მაგრამ ამაღდ. პირველი ასეთი გამოკვლევა დაიწყო რელიგიურ სფერაში. მე-ტნიერება დაგვიანებული მოვლენაა კაცობრიო-ბაში; რელიგია-კი არსებობდა ქვეყნად ყველ-გან და ყოველთვის...

მაგრამ ვერ შესძლო ქვეყნიური ტრაგედიის ხსნა ვერცერთმა წარმართების რელიგიაშ, და ვერც ახალი დროის წარმართობაშ, მიუხედავად თავის თამაში, მაგრამ შეუსრულებელი, დაპირე-ბისა... მეტნიერება ჯერ კიდევ ბავშურ მდგო-მარებაში იშყოფება.... იგი გაეცნო ნივთიერი ქვეყნიერების გარეგან მოვლენათა კანონების „ზედაპირს“, მაგრამ არავთარი წარმოდგენა არა აქვს ადამიანის სულის მიუწოდელ შემ-დებლობაზე და მის უფსკრულ სიღრმეზე. ზო-გიერთმა მისმა წარმომაღვენელმა ცხოვრების

საფუძვლად აჩქარებით გამოაცხადა უღვთოება და ინდეფერენტიზმი რელიგიისადმი... მაგრამ მალე შენიშნა თავისი შეცდომა, და შეიქნა შეკლა სპირიტუალისტებისა, რომელთაც შეაჭვით სულის სფერაში ტლანქი მატერიალური შემცენებანი და აწონ-დაწონვა...

შეცნიერული ათეიზმის პრინციპების ცხოვრებაში შემოტანა იტვირთა თანამედროვე სოციალიზმა. მაგრამ საუკეთესო სოციალისტები, რომელნიც გაძედულთ უარბყოფენ შემცირ აზრებს და შეხედულობებს, თანდათან ხვდებიან დილასავით ნათელ აზრს, რომ ცხოვრება გარეშე რელიგიისა არის „ამათ ამათია“, სოციალისტების ყველა აუცნებები თანასწორობაზე და ძმობაზე უძლურია კაცობრიობის გაფუჭებულობისა გმო. უსაფუძვლოა ის იმედიც, ვითომ შორეულ მომავალში სოციალიზმის პრაქტიკული შედეგები უფრო სანუგეშონი იქნებიან....

ამნაირად ყოველგვარი ცდა ქვეყნიერების ტრაგედიის ახსნის შესახებ გარეშე ღვთის განცხადებისა ფუჭი და ამათა. სულის მწერალება თანამედროვე ქვეყანაში თნდათან ძლიერდება, სწრაფათ კრულდება და ყველა ხალხს ედება... ამიტომ ბევრს მთელი ქვეყნიერების ცხოვრება გრძა ბედისწერის უმნიშვნელო სათამაშო, — „ფუჭ და უაზრო ხუმრობათ“ მიაჩნია.

საქათ დამარწმუნებელი გაკვეთილია ხალხის ამპარტავნობის და ღვთის წინააღმდეგობისა!..

წარმართობიდებან რომ ქრისტიანობაზე გადადიხარ, გრძნობ, როგორ თავისუფლდები ქუპიინი და სულშემხუთავი წყვდიადისაგან, და გამოიდიხარ წმინდა და ბრწყინვალე ღვთიურ სივრცეზე, რომელიც არის იღსავს საუცხოვო მაღლოთ, მარადის — ახალი სიმშევნიერით ჯა ძილით!..

უპირველეს ყოვლისა — გებულობ, რომ ღმერთი ყოვლისა მჟყრობელი არის არ ბუნდოვანი განკუნებულება, განუსაზღვრელად და შორებული ხეენგან ლურჯი ცის კამირით, — არამედ იგი არის მოსიყვარულე მამა, რომელმიაც ჩვენ უცოცხლობთ, ემოშრომთ და ვარსებოთ; იგი არის ცხოველი ზიყვარული, შე-

მოქმედი ძალა და სიმართლე... უკვე სამპირო-ვანება ღვთაებაში გვაჩვენებს რაღაც უწმიდეს სიღუმლებრივ ცხოვრებას ღმერთში... ეს განუსაზღვრელი საიდუმლოება ერთ-ბაშავე შესოთხს კაცის სუსტ გონებას, და აღარ სტოვებს მასში აღარავითარ ადგილს ამ-პარტავნობისა და თვით-განდიდებისათვის... თავმდაბლობა, თავგანწირულება უფლის სახელისათვის, მშენდი სიყვარული — აი საფუძველი მოელი ქრისტიანობისა!..

წარმართების რელიგიები სცდილობდნენ მიეკათ ხალხისათვის ნამდვილი ცოდნა ღმერთზე, კაცის გონების მისაწვდომი, მაგრამ სრულიად ამაռც... მხოლოდ ერთი ქრისტიანობა იძლევა საჩრდილებას და ამყარებს მას გარა-ლის მტკიცე, შეურყეველ საფუძვლებზე. ქრისტიანი საჩხავს ამნირიდ: „მე სუსტი ვარ და არაფრად შესარაცხი, ღმერთი კი განუსაზღვრე-ლად ყოვლად შემძლებელია... როდესაც მე ვსწავლობ ქვეყნიერების კანონებს, რომელიც მავიორებს მე თავის სიდიდით, სიმშევნიერით, წყობილებით და გამოუცნობელი საიდუმლოე-ბით, როდესაც მე ვფიქრობ ღვთის განგებუ-ლებაზე კაცობრიობის ბედისწერის შესახებ, ბოლოს, როდესაც მე ვკითხულობ საღმრთო წერილის საუცხოვო სიღრმეს, — მე ყველგან ვხედავ ღმერთსა, კეთილისმყოფელსა ჩემსა, და ცხადად ვხედები, რა დიდია ის სიყვარულ-ში, სიწმინდეში და სიმართლეში!.. აღტაცებაზი მოსული, — მე, პატარა მტკერი, მივენდობი შემოქმედის განგებულობას, და ვამბობ: „იყვნება შენი!“..

ქრისტიანობა გვასწავლის, რომ ღმერთი არაფრთი არ არის შეზღუდული. და არ ეტევა აღამიანის შეზღუდულ გონებაში, როგორც დიდი რევოლუცია ვერ ჩაეტევა სტაქანში. რაც უნდა განვითარდეს აღამიანის სწავლა, მას არ შეუძლიან არა-სოდეს მიწვდეს ღმერთსა, ეს რომ მოხდებოდეს როდისმე, მაშინ კაცი გოუთანასწორდებოდა ღმერთსა, ან მაღლაც დადგებოდა მასზე, — რაიცა სრული უგნურებაა, რაღვენაც შემოქმედი, უბრალო საღი აზრითაც უკა, უდიდესია ქმნილებაზე... არა არის მოწაფე უფროს მო-

ძღვრისა, და მსახური უფროს მომავლინებელი-
სა მისისა“. ღმერთი უმაღლესია არამც თუ
ქვეყნიურებაზე და ადამიანზე, არამედ — ყოვე-
ლივ იმაზე, რაც ადამიანს შეუძლია იკოდეს,
როგორიც დრო და მანძილია, რაცაც განენი-
ნილია ქვეყნასთან ერთოთ როგორც გარეგანი
ფორმა მისი აჩსებისა. (ითა. 17, 5): ლეთის არ-
სებობას სრულიად ვერ შეესაბამება ვერავი-
თარი ქვეყნიურინი წუთიერი შემეცნება-
ნი... თითონ უფალი განგვიმირტავს თა-
ვის ყოფნას გარეშე დროის და მანძილის საჩ-
ლოებებისა, როდესაც მმბობს საუცხოვო ოქმუ-
ლებას: „მე ვარ“ (ითა. 8, 58, განცხა. 10, 6).

ՕՐՎ Քարմարուս հղողոցինք, օՐՎ ՑԵԿԻՆՈ-
ԽԵԶԱ ՅՆ ՏԱԼՄՅԹ ՀՈՆՈՅՇՆՍԼԱԾ ԵԵՆՆ ՀՅԵԿԻՆՈ-
ԽՆ ՑՈՒՐՈՒՅՑԻՆ ԸՆ ՏՈՎՈՒՅԸՆՈՒՆ ՏԱՂ-
ԻՆ ՑՈՒՑԵՑՈՒՆԱ. ԱՑԵՑՈՒՆ ԿԵՆԸՆ ԸՆ ՏԱՄԱԿ-
ՉՆ ՀՈՆՈՅՇՆՍԼ ԵԵՆՆ ՈԾԼԵՎԱ ԹԵՌՈՒՈՒ-
Դ ՀՅԵԿԻՆՈՅՆ ԵԵՆՆ ՈԾԼԵՎԱ ԺՐՈՒՄՈՒ-

ქრისტიანობა გვასწავლის, რომ ქვეყნი ი-
რება ვიზუალურ შემძლებელი ღვთისა-
ვინ ბელნიკრებისა და ნეტარებისათვის... გვი-
ჩვინიად ქმნილებისა გამოსხინდნენ გონიერობა და
თავისუფლებით აღჭურვილი არსებები, პირვე-
ლი იდმიანები, რომლებიც ცოტათ რითამ
დაბრა იღვნენ სულიერად ანგელოზებზე.

მიზანი ადამიანების გაქნისა იმაში მდგომა-
რეობდა, რომ მუდმივი გაკეთილოვანების გზით
თანდათან დაწიფებულიყვნენ მონაწილეობის
მისაღებად ღვთვებრივ ცხოვრებაში, რომელიც
არის განუსაზღვრელი წმიდა და მეფობრივ-
თავისუფალი. (ა. კორინთელთა 3, 9; ფსალ.
81). ამის მისაღწევად ადამიანებს ჰქონდათ მი-
უმული ცველა საშუალებანი; კეთილი ნება,
ნათელი გონები, ფაქტი სინილისი, ჩაუკრობე-
ლი ლტოლევილება სიკეთისა და იდეალისადმი,
ზეობრივი თავისუფლება, წმინდა გრძნობა
დათვისა სულსა და გულში...

Համար օճախնեցին առ զամբահրացնեց պալոցը և
դա առ զամբահրացնեց լիւրուս, ուստի զա-
հինք ոյսոն թերողութ աջասածակեցն ետ և հոգու-
թուս։ ԱՅ մաջլուսէ ջասածաթու զամբույլեցն
և զանցուտահրացն, օճախնեցին պալու լիւրուն լց-

ბოდენ თავიანთ სრულ დამოკიდებულობაში
ღოთისაგან, და იმ აზრში, რომ ყოველივე ღოთი-
საგან გამოდის, და ჩვენ სამპარტაციანთ არა
გვაქვს რა.

უმთავრესათ ადამიანი გაჩენილ იქმნა თა-
ვისუფალი. თევისუფლება ეს უმაღლესი სიკე-
თეა კაცისა: იგი ჰქონის მას ღვთის-მსგავსად,
და აძლევს მის სიკოცხლეს არა ჩვეულებრივ
სიახლეს, ძალას და სიმშვერიერებს ზნეობრივ
და ყოველგვარ გარეგან შემოქმედებისას.
თავისუფლებაზედევა დამყარებული თეოთ შესა-
ძლებლობა სრულყოფისა, იმიტომ რომ ზნე-
ობრივად არა თავისუფალი არსებანი კმაყოფილი
არიან აწინდელ ცხოვრების შინაარსით, რო-
გორც ცხოველები, და ბნელი ინსტინკტების
იქით არ მიღიან. ცხოვრება გონივრული არა
ძილით გაბრუებაა, არამედ - დაუცხრომელი შე-
მოქმედება.

მღ. იოანე ლუკიანოვი.

შემდეგი იქნება.

Be Our Guest

იაკობ გოგებაშვილის საფლავზე დაკრძალულ
ჟის დღეს.

„კურთხეულ არს მომავალი
სახელითა უფლისათა“

დაუკიტყარო მასულიშვილო! შენმა გშო-
ბელმა ქართველმა ერმა, თუმცა ვერ დაგიამა
დღენი ცხოვრებისა, ვერ შეგიმსუბუქა ის მძი-
მე ტვირთი, რომელიც შენ ჩვენს მუხ-
თალ დროში ასე მხნედ, ასე სახელოვნად, ასეთ
საარივო სულის სიმტკიცით საფლავის კარებამ-
დე მოტანე და საშეილო-შეილო ინდერძად
დაგვიტოვე, — ამ ბოლო დროს გამოამყდავნა
ის მძლავრი სულიერი კაშირი, რომელიც პას
შენთან ჰქონებია!

ମାତ୍ରଳୀଙ୍କରମା ଫାରିଟଗ୍ରେନ୍ଡରମ ଲାଇଲ୍‌ ସିମ୍ପିଜ୍‌
ପାଇଁ ଘାନ୍‌ଗ୍ରାମ ଶ୍ରେଣୀର ଉଚ୍ଚତାର ଠିକ୍‌ରୁ ଏହାକିମ୍‌ବିଲାକ୍‌
ଫୋଟୋଗ୍ରାଫର ଟ୍ରେଵିଲର, ଲାଇଲ୍‌ଗ୍ରେନ୍ଡରର ଦ୍ୱାରା ଉପରେ ଥିଲା
ଏହା ଉଚ୍ଚତାର ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ

ვანი ორგანიზმი! შენთან ერთად, შეიძლება ასე ცსტკათ, ამ უკანასკნელ დროს სუნთქვავდა მთელი საქართველო! ის გულის ფანცქალით ისმენდა შენი ავათმყოფობის მიმდინარეობას და ექიმთა ბეჯით მოვლა-პატრონობას უერთდება ოვის მხურვალე ვეღრებას უზენაას არსებისადმი, რათა მას განეგრძო. შენი ჩვენთვის ძეირფასს სიცოცხლე! მაგრამ... ღვთის განგებას ვერვინ მისწვდება, მოიწია შენზედაც აღსასრული! მოხდა ის, რაც აუცილებელი იყო!

შესწყდა შენი ზღვა-მოსიუვარულე გულის ძერა! შესწყდა შენი მაღლიან მუშა-მარჯვენეს მაჯის ცემა და შენს უკანასკნელ აღმოფ-შეინგასთან ერთად გაისმა ქართველის დედის გულში განწირული კვენა!

ქვითინებს ბედკრული ჩვენი პატარა ქვე- ყანა! ცხარე ცრემლებს აფრქვევს „ბუნების კარი“, მღულარება გაღმოსქდა „დედა-ენას“, ვინაიდგან აღარ ჰყავს ოვისი ერთგული, უა- გარო, მედგარი, მეხილით მქუხარე ქრმაგი და თან ტკბილი, — ტკბილი... მოალერსე „მამი- ლა“.

ეს ათ დღეა ჩვენი დედა-ქალაქი ვერ გამ- ძლარა შენზე მოთქმა-გოდებით! საქართველოს კიდით-კიდემდე გაისმის გლოვის ზარის გულ- ჩათხრობილი ჩივილი! ყველა ლოცვა-ურთხე- ვით ისხენიებს შენს შარავანდედით მოსილ უკვდავ სახელს“ და საიქიოსაკენ გზას გილო- უავენ.

ეს დიდუბის წმინდა სავანეც, — ჩვენი ქვე- ნის საუკეთესო შვილთა საუკუნო განსასვენე- ბელი, — სიყვარულით გეგებება და გიბმბას: „უერთხეულ არს მომავალი სახელითა უფლი- სათა“!

აქ, თანახმად შენის სურვილისა, მიესვენე, მიეყრდნე, დიდუბის ღვთისმშობლის ფერთა ქვეშე ნიადაგს, ამ ღვთისმშობლისა, რომელ- საც ავედრებდა მისს წილხდომილ საქართვე- ლოს მომავალს თვით ჩვენი დიდი დედოფალი წმინდა თამარი!

გვერდით მოუწეს შენს ახლო მეგობრებს, დამაშურალ პედაგოგებს ნიკო ცხვედაძეს და

ლოლობერიძეს! ახლო მეზობლიდ გავას ჩვენ- ში პირველი კულტუროსანი მრეწველი, დაუ- ვიწყარი პრაქტიკული მოღვაწე, შრომის მასწავ- ლებელი, დიდებული ქველმოქმედი დავით სა- რაჯიშვილი!

აქვე განისვენებს ქართველთ ბაირონი, „ქართლის ბედის“ დამტირებელი ნიკო ბარა- თაშვილი; მის გვერდით ასვენია ჩვენი ქვეყნის დიდებულ წარსულის პირუთვნელი შეკლებერი დიმიტრი ბაქრაძე; აქვე არიან შენი კარგი ნაც- ნობ-მეგობარი ლიტერატორინი გორგი წერე- თელი და ივანე კერძელიძე.

მთელს დიდუბის არე-მარეს და ამ ტაძარს თავს დასტრიალებს გასსივოსნებულოსხე წმინ- და თამარის, რომელმაც იქ იქორწილა, რო- მელიც აქ ლოცულობდა, რომელიც იქედგან ისტუმრებდა ოვის გმირთა ლაშვარს სჯულის დასაცელელად და აუარებელ მტერთა მოსაგერე- ბლად!

მანი! აქ, ასეთ სახელოვან მამულიშვილ- თა შორის, არ მოიწყენს არც ჩვენი იაკობის უმანკუ სული! ისიც შეუერთდება სულმანათ წინაპართ ამ საიდუმლოებით მოცულ აღ- გილზე!

ეს ცხრა წელიწადია ვცდილობ გავიგო ჩვენ სახელოვან წინაპართა გულნადები, რას ჰუფირობენ ისინი ჩვენზე, რას მოგვიწონებენ და რას გვიწუნებენ!

მე ვგრძნობდი მათ სიახლოეს, ისინი ღა- მის გუშაგის ვეცხლის მფენ სხივებზე გამოდი- ან ხოლმე აქ და ერთმანეთს საიდუმლოთ რა- ღაცას ყურში ჩასჩურჩულებენ; მათი ბაასი ის- მის ფოთოლთ შრიალში, მათი ჩვენზე ფიქრ- ბი გამოსახულია ზეციურ საგალობელთა ჰან- გებში, რომელთაც ისინი დამღერიან მთელს ამ არე-მარეს!

მაგრამ... ვაგლაბ, მე! ვერ მოუწვდი ამ საიდუმლოებათ კლიტე! არც ერთს ამ დიდე- ბულთაგანს ვერ ვიცნობდი პირის-პირ, რომ გავეოდნიერდე და ვსახოვო-მასწავლონ მათებრ ლაპარაკი....

ახლა კი მცირე მოძღვარს, იმედი მაქეს, გამოშებასება ჩვენი დიდი მოძღვარი და მასწავ-

ლებელი იაკობი! ამან მასწავლა „დედა-ენა“, ამან აღაზნო ჩემში მამულიშვილური გრძნობა, ამან მცა ნუგეში, ეს მამხნევებდა ამ ჭირსა და განსაცდელში; ეს ამ ქვეყნად მებაასებოდა, — მარწამს, რომ იმ ქვეყნიდგანაც გამომეხმაურება და უებრო პედაგოგი ამისხსის სახელოვან წინაპართა სიღუმლო ენასაც....

ჩენი იაკობი განა მოკვდა! არა! ის შხოლოდ მიიცვალა, ეს იგი იცვალა მან თვისი გარეგანი ნივთიერება. სული, სახელი და საქმენი მისნი უკვდევია! ისინი მუდამ ხმა მაღლა ილაღადებენ ჩენი ერის სასიკეთოდ და გასამნევებლად!

იაკობს ჩამოშორდა ცვალებადი გვამი იდამიანისა. ეს გვამი იხრწნება, მტვრად და ნაკრად იქვევა. ადამიანის მიცვალებაზე ის რა გვაწვევბს პავლე მოლიქული: „დაეთხვის გონებით და აღსდგების დიდებით“.

გვრწამდეს, მტკიცედ გვრწამდეს, საყვარელნო, რომ იაკობის ხანგრძლივი, დაუღალავი, უმწიველო და დიდებული მოძღვრება-ანდერთი სისხლ-ხოცს შეისხამს, მაგრად გაიდგამს ფესვებს ყოველ ქართველის გულში და ამ სახით ჩენი დაუფიწყარი იაკობი, რომელსაც დღეს შევ მიწას ვაბარებთ, — „აღსდგება დიდებით“ და გაიხარებს სული მისი. ამინ.

დეკ. ნიკორა თალაქვაძე.

სიტეპ

თქმული მღ. დო-ტი ჩხაიძის მიერ დ. სამტრევდიაძი ქ. ბ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სამტრევდის განუოფილების მოთავეობით განსუფნებული ი. გოგებაძეიდის სულის მოსახსენებლათ გადახდილ ბილ ბანანაშვილშე 7 იყნის.

კვლავ მსხვერპლი! კვლავ გულის შემთხვევი და სულის შემსუთველი ამბავი! სამშობლო ცას მოსწყდა დიდებული ვარსკელავი, მშობლიური ყანის რიცხვით მცირე მუშავთა გუნდს

გამოეთიშა მისი შშვენება, იმედი და სიამყუ. აღარ გვყავს ის, ვინც თითქმის ნახევარი საუკუნე ანათებდა, როგორც ანთებული ლამპარი და არ ჩამქრალა, სანამ მთლათ არ დაიწვა, და რომელიც იწვოდა არა თავისთვის, არამედ შშობელი ერისთვის. აღარ გვყავს დიდებული მოჭირნახულე ი. ს. გოგებაშვილი!. აღამიანის სულიერი ბუნება იმგვარით არის ჩამოყალიბებული, რომ ადგილათ ითვისებს, იგუებს და ეწვევა ბედის სიმუხთლეს. რაც უნდა სასტიკი იყოს იგი, თორებ ლექსში უაღირ გვყავს ი. გოგებაშვილი“ ისეთი ლახვარი არის ჩაწნული, რომ მისგან განგმირულ ქართველი ერის გულის დამამებულ მაღამოს შოგნა ძნელი, ძნელი, უნდა იყვეს...

ვინ იყო იაკობ გოგებაშვილი და რით ააცრემლა მან თელი ერი განურჩევულათ წოდების და კლასისია? იაკობი იყო ქართველი პედაგოგი, მოზირდ თაობის აღმზრდელი და გზის მანათობელი, ქართული პედაგოგიური მწერლობის შემქნელი და მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე დამამყარებელი, ეს პირველ ყოვლისა; შემდეგ ის იყო მწერალ-პუბლიცისტი, დასასრულ ის იყო საქმით საზოგადო მოღვაწე ამ სიტყვის ფართო და წმინდა მნიშვნელობით. წმინდა მნიშვნელობით, ვამბობ, ვინაიდგან ამ ჩვენს კერძო ინტერესებით დაცარულ დროში საზოგადო მოღვაწის მაღლიან ნაითსაყუდელს ხშირათ თავისი საკმების შემქეთებელი გვაძები აფარებენ თავს... განსვენებული იყო ქვემო ქართლის ს. ვარიანიდგან, შეილი დარიბი სოფლის მღვდლისა; აღზრდა მიიღო სასულიერო სასწავლებელისა და სემენარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ ის, ოვალურ საუკეთესო მოსწავლე, გაგზავნილ იქნა კიევის სასულიერო აკადემიაში. ავათმყოფობამ არ დააცალა აკადემიის დამთავრება, მესამე კურსისედ გადასვლის შემდეგ ის ბრუნდება სამშობლოში და ინიშნება ჯვრ თფილის სის სასულიერო სასწავლებელის ზედმხედველათ შემდეგ კი გადაიდის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ 1870 წელს იმულებული ხდება თავი მიანებოს სახელმწიფო სამსახურს... ამ დროი-

დგან მისი უკმაყოფილო სული დამშეცილებას პოულობს, ის თელი თავისი სულიერი ძალ-ლონით საშშობლოს სამსახურს დაწინაურა და ამ სამსახურში დალია კიდეც სული.

როგორც მოგახსენეთ. პირველ ყოვლისა განსვენებული იყო ქართველი პე-დაგოგი და პედაგოგიურ ას 3 არეზე მოღვაწეობის ნიადაგზე აღმოცენდენ ის ყვავილები, რომელთაგანაც შეთხულია მისი შარვანდეთით მოსილ სახის შემამკიდელი უკვ-დავების გვრჩვენი. ი. გოგებაშვილი მესამოცე წლების ქართველ მოღვაწეთა სხივმოსილი გუნ-დის სახელოვანი წევრი იყო. და თუ ამ წლე-ბის მწერალ-პრეტებმა მით გაავლეს განსაკუთ-რებული ლარი და ხაზი თავიანთ ნაწერებს და უკვდავჲყვეს ისინი, რომ ხელოვნების, პოე-ზის, ცოდნის და საზოგადოთ, სულიერი კულ-ტურის ცხრა კლიტულით გარემოცული სალო-როს მოზიარეთ ქართველი მხვნელ-მთხვეველი და საზოგადოთ მშრომელი ხალხი გამოატაცეს პოეზიის და, საზოგადოთ, სიტყვა კაზმული მწერლობის მთავარ მამოძრავებელ მოტივათ ამა-ვე მშრომელის კვნესა და სევდა, სიხარული და ოლტაცება აღიარეს, მით უფრო სათაყვნებელია ის, ვინც მშობელ ერს ამ ძირითას სალა-როს გისალები კლიტე გაუჭედა... ეს კლიტე კი „დედა-ენის“ და „ბუნების კარის“ მიერ მოფარ-ტულ, მოწმენდილ და მოხნულ ნიადაგზედ აღმოცენდენ და გაიფურჩენენ... ეროვნული პოეზიის თესლები მხოლოდ ეროვნული სულით შთაბერილ შეკლაში იღზრდილ თაობას შეუ-ძლია მიიბაროს, და თუ რიმე ეროვნული მოე-პოება ჩვენს დღევანდელ სახალხო შეკლის, ის თელით „დედა-ენაში“ არის მოთავსებული... შეკლის ცხოვრების სხვა პირობებში „დედა-ენაზე“ იღზრდილი თაობა, შეიძლება, უფრო მეტი ეროვნული თვითცნობისერების და ომა-ტრენის მატარებელი ყოფილიყო, მაგრამ მაღ-ლობა შევსწიროთ მმერთს, რომ არ მოგვაკ-ლო ამ მხრით ის, რაცა გვაქეს... როგორც პედაგოგს და სახალხო განათლების შესახურს, განსვენებულ იაკობს პირველი თუ არა, თვალ-საჩინო ადგილი მაინც ეჭირა რუსეთის თანამე-

დროვე პედაგოგთა შორის. იღზრდილი მსო-ფლიო პედაგოგ-მნათობების — კამენსკის, პესტა-ლის, დისტრივეგის, გილდებრანდის და უშინ-სების თხუზულებებშედ, ის შესანიშნავი ხელო-ვნებით ახერხებს განათლების აკვის ამ დიდ-ბული ძიების საუკეთესო აზრების მშობლიურ ნიადაგზე გაღმონერვება. ყველა მის პედაგოგიურ ნაწერებში სამი უმთავრესი აზრი, უმთავ-რესი პრიციპია გატარებული.

პირველი. რომ ბავშვის სული ცოცხალ მოყალოს მოგვაგონებს, რომელზედაც დიდი სი-ფრთხილით უნდა დაიმყნას კარგი ჯიშის გაშ-ლის ახალი ყლორტი. მეორე — ყოველი საგნები, რომელთაც შეკლაში კი ასწავლიან, მხოლოდ მაშინ გაიკეთებენ მკვიდრ საფუძველს ბავშვის სულიერ ასევებში, თუ შეკლაში სამშობლო ენას ჯერვანი ყურადღება აქვს მიქცეული. მესამე, — შეკლა, რომელშიდაც შესაფერ სიმა-ლლებზე არ არის დაყენებული სარწმუნოებრი-ვი აღზრდა, წაგავს ოჯახს, საღაც აღმზრდე-ლი დედა გარდაცვლილ. სწორ უბივარი თან-დათანობით და ხელოვნებით არის ჩიმოყალიბე-ბული განსვენებულის ყველა პედაგოგიურ თხუ-ზულებები ამ სამ „მთავარ დებულებაზე“. გან-სვენებულის პედაგოგიური ნიჭის, გამოცდილე-ბის და დაკარისების წინაშე ქედს იხრიდენ თვით მისი მტრებიც კი... მაგრამ მარტო ამ დარგის მოღვაწეობით არ განისაზღვრება მისი მნიშვნე-ლობა ჩვენთვის და ჩვენი კულტურული ილო-ძინებისათვის.

ჩვენი ცხოვრების ქამთა სიახის და დრო-თა უკუღა ტრიალის თვით მცირედი მოვლე-ნაც კი არ დაუტოვებია განსვენებულს გამოუ-ხმაურებლათ. გულდასმით გაიკანის ჩვენს დრო გამოშვებით გამოცემებში მოთავსებული განს-ვენებულის წერილები და მაშინ დარწმუნდებით თქვენ, თუ სამშობლოს როგორი მოსიყვარუ-ლე, მედგარი მოსარჩელე, ჩვენი იარების ღრმა მკოდნე, მახვილ გონების, ფართო განათლე-ბის და ყოველივე ამისთან-შესანიშნავი მოქალა-ქობრივი სიმამაცით აღქურვილი მებაირალტრე მოვეტაც ულმობელმა სიკედილმა. ანდამატრით სპერაცი სულის, კურძო ცხოვრებაში ცხვარივით

წინარი, მშენილი და გაუწყინებელი, ის ცეცხლის მფრქვეველი მრისხანებით ევლინებოდა ყველას, ვინც მის სათაყვანო სამშობლოს დამკარებას განიზრახავდა, ან ვინც მის საყვარელ სახალხო შეკრულს ხიფასს, განსაცდელს უმხადებდა...

განსვენებულის პიროვნება მკრთალათაც კი არ იქნებოდა თქვენს წინაშე დასურათებული, თუ გვერდს აუკვლიდით და აღნიშნავათ დავსტოკებდით ჩენი დროისთვის იმ განსაციფრებელ შეთანხებას სიტყვის და საჭმის შორის. რომლის ზედმიწევნთ განხორციელებას წარმოადგენდა განსვენებულის ცხოვრება. მან სამშობლოს კეთილდღეობის სამსხვერპლოზე მიიტანა ოჯახური ცხოვრება და მისგან გამომდინარე კმაყოფილება, მან ხორციელი მამობა ანაცალა სულიერ მამობას, ხორციელ შვილებს ამჯობინა სულიერი შვილები, და უხაროდეს მისს დამაშვრალ სულს, რომ „დედაენას“ და „ბუნების კარზე“ აღზრდილ მადლიერ შვილთა წრეველი ცრემლების ზღვა ღელავს მასი ცხდირის გარეშემ! კარგათ წარმომდგენმა იმისამ, რომ შეუძლებელია „ორთა უფალთა“ თანაბარი სამსახური, მან აღუვე დასთრუნა თვის თავში პირადი ბეჭნიერებისადმი მიღრეკილება, უარჟყო ფუფუნება და განცხრომა და თელ თვისს, საკმაოთ მოზრდილ, შემოსავალს, გარდა მისი ფრიად ზომიერი ცხოვრებისთვის საჭირო წვლილის, სწირავდა იმ დაწესებულებებს, რომელთა დროშანებ სამშობლოს წარმარტება და „ტვირთ შძმეთა და მაშვრალთა“ ტვირთის შემსუბუქება აწერია. განსაკუთრებით აურაცხელია განსვენებულის ამაგი იმ ეროვნულ დაწესებულების წინაშე, რომელსაც უ. ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი სიზოგადოება“ ეწოდება. ის გვერდს უმშვენებდა მეორე დიდებულ მამულიშვილს ილია კავკაციებს ამ დაწესებულების საძირკველის გასკნის დროს, სიცოცხლეში მისი სულის ჩამდგმელი იყო და სიკედილის შემდეგ თელი თვისი სამკითხრებელი მას უანდერდა. ამ გვარით განსვენებულმა გვიჩვენა სახე არ მარტო დიდებულის მამულიშვილსა, არამედ დიდებული ქრისტიანისაც, კინადგან

„არა არს სიყვარულ უდიდეს იმისა, რომელმაც თავის დასდოს მოყენესათვის.“ ამ მხრით ის მბოლი მარგალიტია არა მარტო ჩენიში, არამედ რუსეთშიდაც კი, რომლის გენის — მწერალ ლ. ტოლსტიოს, მხოლოდ სიკედილის მთაბლოვებამ იგრძნობინა ის უფსკრული, რომელიც მისი სიტყვისა და საქმის შორის არსებობდა.

დიახ, განსვენებულის პიროვნება დიადია ყოველ მხრივ და, არამდენათაც მაღლა სდგას ამ პიროვნების შეგნება, იმდენათ ძლიერია მწუხარება მისი დაკარგვის გამო. მაგრამ ვინუგეშოთ თავი მით, რომ, თუმცა ის აღარ არის ჩენთან, მაგრამ დაგვრჩის მისგან „თელილი გზა“... მუხლი მოვიდრიყოთ, დიდებულ ცხედრის წინაშე და პანიბალური ფიცი დაესდოთ, რომ „ცუდათ არ ჩავატარებთ მის განწირულ სულის კვეთებას“, ვივლით მისგან „თელილი გზით“ და თვალის გუგასავით მოვუკლით მისგან ნაანდერდევ დაუფასებელ განძს, ხოლო მისი დამშვრალი სული კი შევავედროთ უზენაესს, რათა მართლთათანა სამყოფელი დოუმკვიდროს მას.

მღ. დ. ჩხაიძე.

უკრძალული მიმღებილება.

მე XX საუკუნე აზის ტერიტორიაზე დაწყო ისეთივე დიდების შენელოვანი ამბებით, როგორც მე XIX საუკუნს დასწყისი იყო ევროპის ხმელეთზე. როგორც საფრანგეთის დიდი რევოლუციის გრიგორია სულ ერთიანად შეანძრის ეროვნის არე-მარტენი, ისე იაპონიის გასაშტერებელმა გამარჯვებამ რუსეთზე მოელი აზის კვეყნები ერთბაშათ გააკოცება და გამოიყვანა უდიდესი ისტორიულ ბრძოლის ველზე.

სწორეთ ამან გამოიწვია გასაციფრებელი მოძრობა აზის ისეთ ქვეყნებში, რომელიც წინათ ევროპის სახელმწიფოთა ცხოვრების დაულილს ჩამოშორებულნი იყვნ და ზღაპრულ გველეშაპივით ტებილად ეძინათ. 1906 წ. რო-

ცა რევიტშიაც მოძრაობა არ იყო ჯერ კიდევ მოლად გასრესილი. სპარსეთის შაპი დაბირდა თავისუფლებისთვის ამოძრავებულ ხალხს პარლამენტის დაარსებას და იმავე წლის ოქტომბრის თვეში მოწვეულ იქნა კიდევ სპარსეთში პირველი მეჯლისი. 1908 წ. ზაფხულში ოსმალეთის ძლევამოსილმა რევოლუციამ აბდულ-ჰამიდის დესპოტობას საუკუნოთ ბოლო მოუღლო და განაახლო 1876 წლის ნოემბრის კონსტიტუცია *).

1906 წლს სექტემბრის თვეში ჩინეთის მთავრობამ ყველას გასაგნად განაცხადა, რომ ჩემს ქვეყნას კონსტიტუციას მივანიჭებ მაშინვე, როგორც კი დავინახავ საქმაოდ მოშადებულს ამისთვის ჩინეთის ხალხსა... ამოძრავდა მთელი ინდოეთი და დიდი ისტორიული ეგვიპტეცი, სადაც ნაციონალური ტერიტორიებით ამღელვარებულმა ხალხებმა მოითხოვეს თეთრაკანიან ევროპელთაგან თავის დაღწევა, სრული პოლიტიკური თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ერთი სიტყვით, მთელი ძველის-ძველი აზია, თითქოს არა ჩვეულებრივი, დადათ-დიდი სასწაული მოხდა, ერთბაშად მკედრეთით აღსდგა და მთელი ქვეყნიერება დღესაც პირდაღებული შესკერის იმ საკვირველ სანახობას...

მაგრამ გუშინ და დღეს ჩინეთში მომხდარი ამშები აღემატება ყოველიფერს იმას, რაც აქამდის მომხდარი დედამიწაზე. ყველაზე უდიდესი და უძველესი მონარხია, რომელიც კი ისსოვს როდისმე ისტორიას, ერთბაშად ლინგვა და იმპერატორის ბრძანებითვე იქ გამოცხადდა რესპუბლიკა. სამართლიანი ამბობს ერთი მოაზრე: თუ საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ გადაითარიბალი ევროპა, — ჩინეთის

*) ოსმალეთშიც თავი იჩინეს სიუალისტებმა, რომელთაც პარლამენტში ერთად ერთი ნიმუში წარმოადგენილი ყაფთ, სახელდობრ, ვაიკონიუ-ეფენდი. ოსმალეთის სოციალისტები ინტერნაციონალისტები არიან, რომელნიც აღიარებენ თვითი მომადგრადობას, ვაიკონიუ-ეფენდი. იმავე კი აღიარებენ თვითი მომადგრადობას, მალე ძირიანად შეიცვლება. მაგრამ იმედებს, ერთის მხრით, ხორცის ასამდა ჩინეთის ხალხის დიდი უკმაყოფილება და დროუნივა, მეორეს მხრით, ის დიადი შოთავე-დილება. და გავლენა, რომელიც მოახდინა ჩინეთის მოწინავე ინტერნაციონალისა, სტუდენტობასა და ხალხზე რუსეთიაბონის დიდმა ომმა, რუსეთის მოძრაობამ და რევოლუციამ, რომელიც მოხდა სპარსეთში, ოსმალეთში და ვენეციაშიაც.

ავტ.

დიდ რევოლუციასაც არ შეუძლია მთელი აზია არ გადაატრიალოსომ...

ჩინეთის 500 მილიონიანი მცხოვრებელი თითქმის სულ უმნიშვნელო სისხლის დაღვრით სრულიად განთავისუფლდა და დაირსა ისეთი მართველობა, სადაც მინისტრები პასუხისმგებლები იქნებიან და ინტერია ჩესპუბლიკის პრეზიდენტად დიდით ცნობილი ჩინელი მამულიშვილი იუან-ში-კი. ამიერიდან ჩინეთი გაჩარებული ნაბიჯით მიდის იმ პოლიტიკური გზით, რომელიც გაუღებს კარებს ჩინეთის შეერთებულ შტატებს.

ვერც ერთი ჩვენგანი აზრათაც ვერ წარმოიდგენდა, თუ ჩინეთის უზარმაზარი და „დაყრელებული“ ერი ისეთ გასაშტერებელ ამბავს მოახდენდა. ვინ იფიქრებდა, რომ იგი პირდაპირ რესპუბლიკას დააარსებდა? ეს რომ ვიმე ეთქვა, ყველა ჩვენგანი სიცილს დააყრიდა და ნაღვლიანი ღიმილით იტყოდა: განა ჩინეთის უბედური ხალხი, რომელმაც სუკუნობით მონბის მწარე უღელი ატარა, შესძლებს თავი დაახწიოს მანდარინთა ბრძანებლობას და რესპუბლიკის დაარსებას?

მაგრამ საგანს თუ ლრმად განვსჯით და ჩინეთის უკანასკნელი ღრიას ცხოვრებას გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ ძალან მართალს ამბობდენ ჩინეთის რევოლუციონერები, რომელნიც საზღვარგარეთ იყვნენ განიზნული და იქიდან თვალ-ყურს აღევნებდენ თვის მშობელი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებას. ისინი დიდი იმედებით იყვნენ აღფრთვანებული და ირწმუნებოდენ, რომ ჩინეთში სახელმწიფო წესწყობილება მაღა ძირიანად შეიცვლება. მაგრამ იმედებს, ერთის მხრით, ხორცის ასამდა ჩინეთის ხალხის დიდი უკმაყოფილება და დროუნივა, მეორეს მხრით, ის დიადი შოთავე-დილება. და გავლენა, რომელიც მოახდინა ჩინეთის მოწინავე ინტერნაციონალისა, სტუდენტობასა და ხალხზე რუსეთიაბონის დიდმა ომმა, რუსეთის მოძრაობამ და რევოლუციამ, რომელიც მოხდა სპარსეთში, ოსმალეთში და ვენეციაშიაც.

ვინც ხალხთა ფსიხოლოგის უკვირდება

და სწავლობს, იმან უეჭველია, იცის, რომ ისტორიაში არის ისეთი მომენტები, როცა ხალხი ძალიან ემორჩილება, ექვემდებარება ამ ხალხისთვის თავდადებულ, შეგნებულ აღამიანებს ნაშეტურ მაშინ უფრო, როდესაც ამ უბედურ ხალხს დიდი გასახირი და უბედურება ადგია კარს. ვინ არ იცის, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია რამდენიმე ასი ათასშა იაკობინელებმა მოახდინეს, რომელთაც, რა თქმა უნდა, საერთო კვეყნის ნიადაგი უწყობდა ხელს და საფრანგეთის ერის განუსაზღვრელი გაპირება და ზედიზედ თავზე დამტკიცარი შიძილობა, რომელიც ჩამოვარდა იმ დროს საფრანგეთში. აი, იმათ მოახდინეს ის საშინელი რისვა და ქარიშხალი, რომელმაც სამუდამოთ დალერა საფრანგეთის მეფეთა ძლიერი ტახტი.

შაგრამ იმ დროს საფრანგეთის უნიკიტერეს ერს ისტორიაში იმგვარი მაგალითები არსად არ გააჩნდა, უძველესი კულტურის პატრიოტ ჩინეთის ხალხს კი ამის მაგალითი ბევრი ჰქონდა თვალწინ და ამ მაგალითებს, უეჭველია უფრიდებოდა იგი და ინფორმისტინებდა კიდეც. საჭირო იყო მხოლოდ ზევით გაკერით დასახელებული მიზეზები, რომ ნაეთგადასხმულ მასალას ნაპერწყალი მოხველროდა და უშველებელი ცუცხლის ილი ჰაერში აფარდილიყო...

რასაკირველია, ჩინეთი ჯერ კიდევ არ დაწყისარებულა. ადვილად შესაძლებელია იქ განდეს ისეთი ძალა, რომელიც ქვეყნის სულ ერთიანა სისხლით მორჩიას. მაგრმ ესეთი ტრავიული შებრუნება ცხოვრების ლერძისა იქნებოდა მხოლოდ დროებით. ისევ მკვდრეთთ ალდეგნა და გაბატონება ძველი დამუაკუბული პოლიტიკური ცხოვრებისა ჩინეთში ამიერიდინ ყოვლად შეუძლებელია...

მეოცე საუკუნის ეს პირველი ათი წელიწილი იძლევა ფრიად საგულისხმო დიდ ამბებს უძველესი აზიის სახელმწიფოთა ცხოვრების მკვდრეთთ ალდეგნისას და ახალ პოლიტიკურ ფორმების დემოკრატიზაციისას.

ეკრანის ზოგიერთ მეცნიერთ ჩინეთის, ინდოეთის, სპარსეთის, ასमილეთის და ეგვიპტის ძველი ერების შესახებ ჯვარი ქონდათ და-

სმული და გარდაწყვეტილი, რომ ამ ქვეყნების შეილნი უკვე მოკვდენ ახალი ცხოვრების პოლიტიკური პრინციპის გასახორციელებლად, რომ მრეწველობის, შრომის ახალს მოძღვრებას ემსახურონა.

მაგრამ ეკრანის მეცნიერების მიერ წესის აგება ამ ერებისა ძალიან იღრული გამოდგა. დღეს ამ ძველისძველმა, კლასიკურმა ერებმა ცველის დაუმტკიცეს, რომ ის ერები, რომელთაც შეუქნიათ კულტურა და უცხოერიათ თვითი დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრებით და ამნარიად საზარელ მების სხვერპლნი აღარ გამხდარია ისტორიაში, არას დროს არა კვდებიან, მუდმივ ცხოვრობენ და არსებობენ...

არიან მეცნიერნი, აგრეწოდებულ, ორგანულ თეორიის მიმღევარნი, რომელნიც ერის ცხოვრებას ორგანიზმის ცხოვრებას უდარებენ. ერიც თეორიანიზმით იბადება, იზრდება, ვაჟკაცდება და, ბოლოს კვდება.

ერის ცხოვრება თუმცა წაგავს ინდიულურ თეორიის მიმღევარნი, რომელნიც ცხოვრებას და მათ შორის, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ანალიზიაც გაკეთდეს; მაგრამ ამასთანავე მათ შორის რომ დიდი განსხვავებაც არის, რაც ყოველ ფეხის გადალგმაზე მტკიცდება, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა...

შემდეგი იქნება

გულკეთილი

პლატერია საუკადღებოდ.

წარმოვიდგინე ცხოვრება და მოქმედება იქსო ქრისტესი, ჩაუკეიირდი ქეშმარიტ მის აზრის და ნაღვლიანმა ვკითხე ჩემს თავს: —ვართ თუ არა ჩვენ მღვდლები ნამდვილი მოსამსახურე ქრისტესი? ვართ თუ არა კეშმარიტი აღმასრულებელი ჩვენის მოვალეობისა? გავითვალისწინე ყველა ნაცნობი მღვდლების ცხოვრება, სათითოად გავარჩიე მათი ყოფა-მოქმედება და დავინახე, რომ ბევრი ჩვენთაგანი მხოლოდ სიხლით არის მღვდლი, მოქმედებით კი ერი. სულ ძალიან ცოტა მღვდლელი განიორჩევა თვეისი აზრებით უბრალო ხალხთანამდებრივობისას.

რომელიც სუსტია თავის მოვალეობის აღსრულებაში, ერთბაშად დამონიკებია ხალხს და მთ სურ-კილს ხსრულებს რაც ხალხს ძალიან მოსწონს. ამნაირი დამონიკებული და ხალხის სურკილის აღმასრულებელი მღვდელი არავითარ წმიდა დანიშნულებას არ იძლევს თავის მოქმედებას. მას კანონად დადგებული აქვს სამსახური აასრულოს და სახუდელი მიიღოს, ხოლო ხალხის ცხოვრების გაუჭირებეს ამ სწავლა-განათლებით და სულის ცხონება, სულ ერთია გინდ ისე იყოს და გინდ ისე. ამნაირ ღაულევარ მღვდელს სულ გაუფუჭებია მრევლი, რომელიც ზიჩლით უყურებს სხვა მღვდლებსაც. არამაც თუ უსწავლელ მღვდლებს, არამედ ბევრ სემინარიაში კურს დამთავრებულ მღვდლებსაც ჯერეც არ აუტკიებიათ თავი ხალხის განათლებისათვის. იგინი ერთდებიან შრომას და თავი კი ხალხის მამად მთაქვთ. რომელ მრევლ შეიღაუ ამნაირი მღვდლელი ყოფილა, იქ ძალიან გასაჭირია ახალი კეთილი აზრებით საგხე მღვდლის ცხოვრება. დაიწყებს თუ არა მსჯელობას კეთილ საქმეზე, ხალხი მაშინვე უპასუხებს: „შენზე წინ ბევრი მღვდლი გვყავდა, ისინი ძალიან კარგი მღვდლები იყვნენ, მაგრამ მაგას არ გვუუბნებოდნენ“—ო. დიდი მეცადინება სჭირდება ახალ მღვდლეს, რომ თავის წინამოადგილის შეცდომა გაასწოროს. ეს რომ ასე არ ყოფილოყო რომ ჩვენს ხალხს რიგიანი შეენებული და გულშემატკიცარი მღვდლები ყოლოდა, ვინ იკის, რამდენათ წინ წინ ბევრები დამტენებული ხალხის ცხოვრება. თუ გვინდა ჩვენ, რომ ხალხმა არ მოგვიძულოს, უნდა ვიმეცადინოთ მის სწავლა-განათლებაზე, უნდა შეერყა-როთ კეშარიტი სუვარულით უბრალო ხალხი და უნდა ვსცდილობდეთ, რაც უენდება, მათ ნიკოსიანი და სულირებად დახმარებაზე. ერთი სიტყოთობიდ და სულირებად დახმარებაზე, ხალხს სრული იმედი უნდა უვით რომ კსოვებით, ხალხს სრული იმედი უნდა კონდეს მღვდლის ყოველ შემთხვევაში, გაჭირდება არის თუ დამტენება. როდესაც ხალხს კვება არის მომდევრი მომიტედეო ეგულება, მაშინ სიყვარულიც ექნება მისი და როდესაც სიყვარული ექნება ფასია მაშინ დასდებს მღვდელს და აღმართ მოგდებს ისე ძალიან, როგორც დღეს ვხედავთ, რაც ურიად სამშრომო.

მდე. ნებროზ ლევის.

შართველ ერისაცთა და სამდვდელო-ზის საყურადღებოდ.

დაიბეჭდა თუ არა ამ რამდენიმე თვის წინათ ყდ სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოსის წერილები, სადაც იგი ექმაგება დევნილს სამშობლოს საჭირობულო საკირბოს საკირბოს საკირბოს და თავგამოდებით ებრძებს ბიუროკრატის, ქართველმა საზოგადოებამ თვალები დააკყიტა და გაფარიცებით დაეწაფა ამ წერილებს. უმთავრესი ნაწილი ამ წერილებისა, რომელიც ხელა ისე აინტერესებდა ხალხს, უკვე დაბეჭდილი მქონდა მე ჩემს წიგნში: „შრავა ამ აუტოსტატადა გრუზი“. ცერტები: „დავფიქრდი ვთქვა: „მალლობა ღმერთს, კიდევ არ მოგვდარვართ, კიდევ ვარჩევთ სპილოებს ფინებისაგან, კიდევ ვაფასებთ მიფარებულს მკვდრებსაც, რომელთაც სიცოცხლეშიც გზა გაგრინაოს და საფლავიდანაც შექს არ გვაკლებენ!“

გავიხარე, დავწუგეშდი. დავრწმუნდი, რომ გვხსოვნებია გაბრიელის მაღლ-მოსილობა, მისი სულ-მნათობა; გვხსოვნებია ისიც, თუ როგორ გვდარიჯობდა და უბედულს სამშობლოს როგორ დასტრიალობდა თავს არწივით, როგორ იბრძოდა ენით, კალმით, ჯვარით, წინდა ცხოვრებით.

დიახ, გვძართებს ხსოვნა დიდებული აღმინისა.

საჭიროა ღლვადგინოთ ჩვენს ხსოვნაში მისი სრული სახე, მისი საქმენი.

და ი 17 წელით მე პირადათ ვქადაგობ გაბრიელ ეპისკოპოსის ასეთ მნიშვნელობაზე თუ წერილობით, თუ მოწოდებით და თუ სიტყვერი ლაპარაკით.

ამაზე აღრე ჩვენ ვწერდით, რომ ვკრეფთ ყოვერგვარ მისალას და უნობებს ხალხში და არქივებში გაბრიელის ცხოვრებაზე, მოღვაწეობაზე და დროზე, გვსურს გამოცეც ვრცელი გამოცელება, რათა მუდამ თვალწინ გვედგის ეს დადგებული აღამინი და ყოველის ქართველმა ოჯახმა ამ წიგნის საშეაღებით გაიცნოს დაახლოებით ეს შესანიშნავი ღვდელმთავარი.

შაინცა მინც არც საყველური გვეთქმის

საზოგადოებაზე. მართალია, ბევრზე ჩვენმა მოწოდება ვერ გასჭრა, მაგრამ ბევრმა გულრწფელათ პატივი სუა განსვენებულის ხსოვნას და ძეირფის მასალები მოგვაწოდა; ზოგმა წვლილიც გაიღო თავისი სურვილით და გვთხოვა— დაგვეჩარები ჩვენი შრომის გამოქვეყნება.

მაგრამ, რადგან მასალამაც ბლომათ მოიყრა თავი და გამოკვლევაც დიდი გამოვიდა, ამის გამო გამომცემლის შოვნა და წიგნის დაბეჭდვა დღემდი გაჭირდა. დღეს, ჩვენდა სასიამოვნო, გამომცემელი გამოგვიჩნდა. მოხარული ვარ. რომ ეს პირი ეკუთვნის ქართველ საღვდელოებას. ამ საქმის თაოსნობა დიახაც შეფერის ქართველ სამღვდელოებას. ეს პირია ღირსეული ბლალობინი, დეკანზი მმა მიხეილ სხირტლაძე,

მაგრამ გამოსაცემი რამდენიმე ტომია და მარტო მამა სხირტლაძის საშვალება არ უშველის საქმეს, თუ საზოგადოებამაც მონაწილეობა არ მიიღო, და ჩვენი იმედებიც გარდა მამა სხირტლაძისა, დამყარებული ქართველი საზოგადოების შეგნებაზე, გულუხვიბაზე, საერთო საქმეში თავისამდებულობაზე და თვით გამრიელისადმი წრფელ სიყვარულზე.

ამ, სწორეთ ამ იმედით გამხნევებული პირები ეკენისოფიდან ვიწყებთ ჩვენი შრომის პირველი ტომის ბეჭდვას და საქმის უხრუჩველსაყოფელათ და სტამბის დასაყმაყოფილებლათ ახლავე ვმართავთ ხელის მოწერას ამ პირველ ტომზე, რომელიც იქნება 300 გვერდამდი და ელირება წინდაწინ ხელის მომწერთათვის 3 აბაზი. მივმართავთ ქართველ ერისკაცთა საზოგადოებას, აგრეთვე საღვდელოებას თხოვნით, თანაგვივრმნოს ამ მძიმე საქმეში და პირველი ტომის ფასი მოგვაწოდოს ამ თავითვე, რათა ვოურდეთ რამდენი ცალი დავბეჭდოთ დააბლოებით. ხელისმოწერა მიიღება ჩვენთან პირადათ ქ. ფოთში და ქუთაისში, „შინაური საქმეების“ რედაქციაში ქ. ქუთაისშივე მთავრის წიგნის მიღაწიაში და ყველა დაბებში იგენტებთან, რომელთა ვინაობა ცალკე იქნება გამოცხადებული. ხელისმოწერა შეწყდება პირველი ეკენისოფიდან. პირველი ტომი გამოვა

და დაურიგდება ხელისმომწერლებს დაახლოებით 1 იანვარს; შემდეგ მეორე და მესამე ტომის ბეჭდვას შევუდებით.

ვეძებთ პროვინციებში თანამგრძნობ აგენტებს; უფრო განაპირო ქალაქებში: ბაქოში, ერევანში, განჯაში, კავკავში. პიატიგორსკში, სოხუმში, ართვინში, შუშაში, დარუბანლში, დუშეთში, თელავში, სიღნაღმში, ცხინვალში, ბორჯომში, ხაშურში. ბათომში, აგრეთვე რუსეთში, სტამბოლში და სხვაგან.

მღვ. მ. კელენჯერიძე.

ახლო-დახლო.

„ერთმა მოხუცმა მოძღვარმა მოახსენა ინსპეკტორს, მესამე განყოფილებაში ათორმეტი რუსულად დღესასწაული იყიან და სხვასაც რუსულად ვაჟილობ ვასწავლოვთ. ინსპეკტორმა (რუსმა) მიუგო:— ისი-ნი ნადინობი ვთ ეს მიუ- ნი— ვთ“. ვკითხულობთ ამ წლის სახალხო გაზეთის“ № 600-ში.— „მოწერილი ამბები. ს. დიმი“.

ამ ორიოდე სიტყვას თავის-თავად მნიშვნელობა დიდი არაფერი აქვს, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი „მოღვაწეების“ დასასურათებლად, ეს ფაქტი მართლაც აღსანიშნავია და უფრო სასულიერო ორგანოში, რომელთანაც უფრო დაახლოვებულია ჩვენი სულიერი მოღვაწენი.

„უსირცხვილოს თუ არ არცვენ, ბაძვით მორცხვიც გაურტხვდებათ.“ — ამბობს დაუვიწყარი მოსანი დ. გურამიშვილი.

მართალია, — „ბაძვით მორცხვიც გაურტხვდება“ — და სწორეთ ამნარად უნდა იყოს „გაურტხვებული“ „მოხუცი მოძღვარიც“ ... მაგრამ განა მატრო ის? „ბაძვით გაურტხვებული“ „მოღვაწეები“ ჩვენში არა ერთი და ორი და თუ იმათ ჩვენ ვერ ვიცნობთ და შესაფერად არ ვაფასებთ, ამაში ჩვენი საზოგადოების ნამდვილი ქართველური მმართულება გამოხატება... ერთობ კარგი ქართველი შენდობის მიუმაში... როდესაც თანამედროვე მეტნიერება, ასე თუ ისე, ძლიუ-ძლოვაბით იღწევს

იმ დასკვნამდის, რომ პირადად კაცი, უცოდველია და უღირსებოც; უკეთ რომ უსტევათ: თუ კაცი ავს შევბა, ამას იწვევს მასში დაბუდებული მხელი და თუ კარგს, ესეც ჩამომავლობს იმ ბუნებიდან, რომელიც კაცშვევა ღაბუდებული და ამ სახით, არა გვაქვს უფლება ერთი ვაქოთ და ვადიდოთ, მისი ღირსების მიხედვით და მეორე გავამტყუნოთ-გავკიცოთ, თავის უღირსებისა გამოვო, — ეს შეხედულობა ქართველთა შორის, არა მეტნიერულია, ღილი ხნით არის განვითარებული. ქართველს ყოველისფერი უჩერენია იმას, რომ ვინმეზე განაჩენი წაიკითხოს, თავის აზრი გამოსტევას და გასაკიცხი გაკიცხოს.... ეს, არაუგა ემჩნევა მას საზოგადოდ, კერძო შემთხვევაშია თავს იყარენებს. მაგ. ძალიან იშვიათად მოხდება, რომ ქართველმა მედიეტორებმა რომელიმე მხარე გაამტყუნონ და კითხეა თავისებურად არ გადააფუჩებონ... ეს ნაკლია და, ერთის მხრით სწორეთ ეს ექნებოდა სახეში გურამიშვილს როცა გვითხრა: „უსირცხვილოს თუ არ არცხნ, ბაძი მით მორცხვიც გაურცხავდება.“

ბ. თელი უორდანისას ღვაწლილიდიდია ჩენ-ში... მაგრამ მან თითონიე, ერთი ხელის გაქნევით, უვარ-ჰყო თავისი მნიშვნელოვანი შრომა... ის რკინის ბურჯივით ამოუდა გვერდში ვოსტორგოვებს და არა თუ ამოუდა, გაასწრო კიდეც „მოღვაწეობით“ და როს შეურვილი მოიკლა, მეორე სკამზე გადამჯდარი იხლა სულ სხეს გვიარნახებს.... თუმც საქმენი მისნი ცხადად აჩენენ მას... მერე სად არის განაჩენი? განა კმარა ის, რომ ორიოდე „თავზე ხელ-აღებულმა“ ქართველმა, პრესის საშუალებით გამოამზეურა მისი საქმენი საგმირონი? კარგი, ნუ ვაწყენიებთ ბ. თელის, მაგრამ რა უყოთ მისი წაბაძვით „გაურცხვებულ“ „მოღვაწეებს“?

ამით მე ის კი არ მინდა, რომ ბ. თელი ჯვარზე აცვან. სრულილიადაც არა. მე იმას ვამბობ, რომ — „ბაძეით მორცხვიც გაურცხავდება“... გადავავლოთ თვალი მიმდინარე ცხოვ-ჩების და ნათლად დავინახვთ, რომ არა მარტო „მოხუცი მოძღვრია“ ბაძეით წითილისებული! მგზავსნი მისნი მრავალნი არიან და თუ

იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ნათქვა-მია: „ზღვა კოვზით დაილევაო“, თვით უმდგრა-ლეს საფეხურზე მდგომი „მოღვაწის“ ნაღვა-წიც მნიშვნელოვანია ჩვენთვის... სწორეთ უსირცხვილოს დარცხვენა უნდა მოელოდეს, რომ მისი წაბაძეით სხვა არ დაეცეს, სხვა არ გაურცხდეს.

ნერა გენერლობას ხომ არ მოელოდა „მოხუცი მოძღვარი“ რუსი ინსპექტორის წი-ნაშე ასეთი დამსახურებისთვის?! არა, მას ილ-ბათ კუუფია თუ უღირტინედა გულში, ან კამი-ლავეა!... თუ არა ამ მხრით, სხვანირად გაუ-გებარია, რატომ გადაურბინა თავს მოხუცმა მოძღვარმა სამოსწავლო გეგმას და რა მიზ-ზით აიტკინა თავი იმზე, რაც მას სრულიად არ ეთხოვებოდა?! ვაი, რომ წითელ, სარჩულ-ში და ბორდოს ფერ ხავერდში იყიდება მრა-ვალ-ტანჯული დედა-ენა!

„... და სხვასაც რუსულად ვცდილობთ ვასწავლოვო. — დახეთ, რას ბრძანებს გატაცე-ბული მოძღვარი! ამით უსიტყვოდ მოუხსენებია სულიერ მამას ინსპექტორისთვის, რომ ზენ-ერთი თავზე ხელი გადამისევი ასეთი ღვაწლის-თვის, თუ გსურს სამერმისოდ მთლილ „გადა-პარუსკებული“ სკოლა დაგახვედროვო... მაგ-რამ ბარაქალა რუს ინსპექტორს! — „ისინი ნადინობის ვს ეთომ ნე ბელი“-ცო, ეუ-ნებეა ის არამეტე მოკეთეს.. ჯილდოც ასეთი ეკადრება ასეთ სამსახურს!

ნერა რა იგრძნო მაშინ მოხუცმა მოძღვარ-მა, როცა ასეთი ჯილდო მიიღო? იმედი გვაქვს, ამაზე თვით დაჯილდოებული მოგველაპრაკება.

ერთმა უსწავლელმა სოფელები სთქვა: „რკინა შეშას ვერ გააპობს, რომ რკინის ტარი შეშისა არ ქონდეს. — არ ვიცი, ვინ როგორ იწამებს ამ თქმულების და მე-კი, ამ შემთხვე-ვისთვის ზედ-გამოკრილად მიმაჩნია... გარუსე-ბის პოლიტიკა ჩვენში, პირველსვე ნიბრჯზე „ტუპიკს“ მიადგებოდა, რომ ამ პოლიტიკის ტა-რი შეშისა (ჩვენივე) არ ჰქონიდა... აბა რა არის აქ დასამალავი, ან საიდუმლო, რომ სრულიად კერძო მიზნისთვის ჩვენ თითონვე ძირს უთხრით სამშობლო ენას... მაგრამ დროა

შენგნებულმა ქართველობამ უსაზღვრო „შენდაბაზე“ ხელი იღოს და ღირსეულიდ დაჯილდოვოს ის „მოლვაწენი“, რომელიც თვივიანთი საზიურარი ანგარიშებისა გამო, მურტალი ხელით ეხებიან იმ წმიდათა-წმიდას, რაც წაურთმეველი საკუთრება მთელი ქართველობისა.

სორტელი სტუმარი.

ტერსაც ზარალი არ მოუკიდეს ზარების დამ-
ტვრევით და ხალხიც არ იმსჯერობოს. სასურ-
ველია ყურადღების მიქცევა სასულიერო მთავ-
რობისაგან, ვინაიდგან თითონ მონასტერი სიღა-
რიბეს განიკუთხის.

බ්‍රුජමාරු.

რას გვივინდენ?

კაცხის მონასტერი. ეს მონასტერი თავის
სი უხსოვარი არსებობით და უძველესი ძეირ-
ფასი ნივთებით არ ჩამორჩება სხვა მონასტრებს.
ხსენებული მონასტერი იწოდება თავ. აბაშიძე-
ები ს. საგვარეულო მონასტრად ინ-
ხვდენ თავისი საკუთარი საშვალებით,
მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ამამ მონას-
ტერს მოუსპეს დახმარების ძლევა და იგი დარჩა
რამდენიმე მოქმედი ნაკერი მიწის ამარა, სა-
იდანაც კი მოსავლის ღროს შესაძლოა შემო-
ვიდეს 600-700 ბათმანი სიმინდი. შევნით მო-
ნასტრის ეკლესის მორთულობა ძალიან ცუდ
შთაბეჭდილებას ახდეს მოლუკელებზე, რომ-
ლებიც მოღიან აქ იმერეთის სხვადასხვა კუთ-
ხიდან კანკელი წირმალდენს უხსოვარი ღროს
ფიტრულს, რომელზედაც ყოფილი გადაკურუ-
ლი ქადაღდი სხვადასხვა წიმდანების გამოხა-
ტულებით. უკანასკნელი სიძველისა გამო გადა-
სულა ან დახეულა. კველაზედ უფრო უურალდება
მისი კუვა სამრეკლო მონასტრისა, რომელიც
შესდგება რამდენიმე სართულის სიგან. მაღლა
სართული არის დაღმული იგურის ბოძებზე,
რომლებიც რამდენიმე სეკულირ წლის განმავ-
ლობაში ჩამოუკეცხა წვიმას და იმდენათ და-
წვრილებული, რომ სულ მოკლე დროში დაწ-
ცვა და ზარები დაიმსხრევა; ახლაც ხშირად
ვირდება ძრის იგურის ნატეხები და ქვები, ასე
რომ დამგვრევითისაც შესაძლოა უბედურება
მოხდეს და კინძე იმსხვერპლოს, რადგნაც მო-
ნასტრის გაღიანვნში შესასვლელი კრები ამ სამ-
ჩუკლოს ქვეშ არის მოთავსებული. საჭიროა
მნიშვნელოვანი მონასტრების მონასტრისას უურალდება
მოქმედს, ვისგანაც ჯერ არს, გამოეცვალოს მას
ინტერი და შეკეთდეს სამრეკლო, რათ მონას-

სამღვდელოების ჯამაგირის მიღე-
ბის შესახებ.

ეხლანდელი ჯამაგირის მიღების წეს-ჩივი
მეტად უმჯობესია, ვინემ წინეთ იყო. წინეთ
სამღვდელოების ჯამაგირის ხაზინიდან წლის
დამლევს ლებულობდენ ბლიოლინინგმი ერთიდ
მოელი წლისას ხარჯების გამორიცხვით და
ურიგებდენ სამღვდელოების. მოსატიან ქირას
სამღვდელოება იხდიდა 1 ან 2 კოპეიკა მანეთ-
ზე. დღეს კი თითოეული კრებული თითონ
ლებულობს თავის ჯამაგირის ხაზინიდამ, ან პი-
რადათ, ან იბარებს ფოშტით, როგორც უნდა
ისე—თვიურით, მესამედობით, ნახევარი წლით,
თუ წლიურად; მეტადრე ფოშტით დაბარება ჯა-
გირისა ძრიელ კარგი საქმეა, რადგან ისე
მოუდის სახლში, რომ არავითარ ხარჯს და შრო-
მას არა სწერს ამაზე სამღვდელოება. მაგრამ
აქ უნდა შევნიშნოთ და მოვახსენოთ ერთი
რამ დაბრკულება, რომელიც ხშირად ეძლევა
სამღვდელოების ჯამაგირის გამოწერის დროს.
მოგეხსენებათ, ყოველ წელს უელოლება ხდება
სამღვდელოების ჯამაგირის ხარჯების გამო
რიცხვაში, რადგან ხშირად მატულობს სამ-
ღვდელოების სხვა სხვა გადახახდება. ერთი
ხარჯები ირიცხვიან ჯამაგირიდან ხაზინაში
ხოლო ამგვარ უელოლებას სამღვდელოება ვერ
ტყობილობს თავის რდონზე და გამოწერის დროს
ხშირად შეცომა მოუდისთ, რადგან ისინი წერენ
გასული წლის ანგირიშისამებრ. ამიტომ ხაზინა
ხშირად უბრუნებს მათ „ტრებოვანიებს“ უკავ-
ფილოდ. შემდევ სამღვდელოების სკირდება
ბევრი მიწერ-მოწერა და წვალება, რის-
გამ ძრიელ უგვიანდება გამოწერილი ჯა-
მაგირის მიღება, მეტადრე შორეული მხრის
სამღვდელოების ხარჯები კოსოვიშ ხრივა

სამღვდელო დეცუტატთა სიეპარქიო კრებებზე
საჭიროების გამო და ომშ ზემოხსენე-
ბული შეცოოშები არ მოუვიდეს სამღვდელო-
ებას ჯამაგირის გამოწერაში, ბერი შრომა
და დავიდარიძა, ლროს დაკარგვა არ დასჭირ-
დეს და თავისდროს ჯამაგირი მიიღოს - საჭირო
წინდაწინ წლის თავში შეატყობინონ რომ იურ-
დეს სამღვდელოებამ რა ერიცხება და რა უნ-
და მიიღოს მდგომარე წელში ჯამაგირი, მა-
შინ აღარ მოუვა სამღვდელოებას არავთარი
შეცოომა ჯამაგირის გამოწერის დროს. ამას-
თან ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ ტრებოვანიებ-
ში უნდა იყოს ნაჩენები საბლავობინო
ოლქი ეკლესიის კრებულისა, რომ ხაზი-
ნამ საჭირო შემთხვევაში დაუბრკოლებლად
მიავნოს იმ კრებულს, რომელთანც მიწერ-
მოწერა და ტრებოვანიების დაბრუნება შეხვ-
დება.

ამას წინეთ მე მომივიდა ლექხუეშიდ ხა-
ზინილგან დაბრუნებული სხვისი ტრებოვანიე
კუკიშის ჯვარუმის ეკლესიის კრებულისა (სა-
ხელი და გვარი კრებულისა აღარ მავონდება),
კითომ იმის გამო რომ, რადგან ჩემი ეკლესია
კუკიშის ლეთისმშობლის ეკლესიაა ხაზინა აც-
ნობებდა კრებულს ჯვარის უსწოროდ გა-
მოწერაზედ ამ „ტრებოვანიში“ არ იყო ნაჩვე-
ნები არც მაზრა, არც საბლალობინო ოლქი
და ხაზინას ვეღარ გაეგო და ვეღარ მიეგნო პატ-
რინისათვის. ეს „ტრებოვანი“, „რადგან ჩემი არ
იყო დაუბრუნებ ხაზინას, გამოვიდა პატარა ხა-
ნი და ჩემს შეზობელს ეკუთხის ჯვარუმის ეკ-
ლესიის კრებულს მოუვიდა ეს „ტრებოვანი“
კითომც მისი უნდა იყოს. რასაკეირველია მა-
ნაც დააბრუნა ხაზინაში ეს სხვისი საქმე, ასე
იმ ნირად ინება სხვაგანაც, ბევრი იდგილი
მოიხარი იმ ქალალდმა ბევრი შრომა მიაკენა
კულის და პატრინი ვერ მოითხოვდა. თუ
რომ, ტრებოვანიში ყოფილიყო ნაჩვენები
მაზრად საბლალობინო ოლქი იმ კრებულისა
დერწმუნებული ვარ იმდენი თუევა ამ საქმეს
არ შეცვდობოდა და პატრინს აღვილით მიაგნებ-
დებ.

డాక్టర్ బి. గుల్బర్గా.

ବୁଦ୍ଧିମତ୍ତା କାହାରେ ପାଇଲାଏବେଳାପାଇବା.

ମୁଖ୍ୟ ରେଗ୍ଯୁଲେସନ୍!

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი პატივ-ცე-
მულ სასულიერო უურნალ: „შინაურ საქმე-
ების“ საშუალებით ნება მომცეთ გულითადი
მაღლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც
კეთილ-ინგებეს და ჩენ-უუსაწყლეს ქვრივ-ობოლ-
თა, ყოვლად უპატრონოდ და უსახსროთ დარ-
ჩენილთა სასაჩვენებლოდ შემოწირებს თავისი
წვლილი. აი სიაც შემოწირეველთა: ქ. ჭუთაისის
საბლაოლობინო ოლქიდან: ბლალობ. მღ. თომა
დევგლაძემ 1 მან.; დეკ. ი. აბესაძემ 1 მან., დეკ.
ა. შანიძემ 1 მან., მღ. ტ. კაპანაძემ 2 მან.,
მღ. ა. ფოთხვაძემ 2 გ., მღ. ა. გერსამიამ 2 გ.,
მღ. ლ. დევიძემ 1 გ., მღ. ს. ლევაცევიშვილმა
1 გ., მღ. რ. ხუნდაძემ 1 გ., მღ. ე. კოხონევ-
ლიძემ 1 გ., მღ. ი. ნიკოლაძემ 1 გ., მღ. ი.
ბაკურაძემ 2 გ., მღ. ი. ბაკურაძის მეუღლამ
1 გ., მედავითნემ ი. ლორთქიფანიძემ 2 გ.,
მედ. ი. სირაძემ 2 გ. და მოქალაქემ ერ. ხა-
ხუაშვილმა 1 მან. შორაპნის საბლაოლობინო
ოლქიდგან ბლალობ. მღ. დ. სუხიაშვილმა 1 გ.,
საბლაოლობინო სამღვდელოების მომღვარო-მო-
ღვარმა-მღ. რ. გორგაძემ 1 გ., მღ. ი. ბერაძემ 1 გ.,
მღ. ე. აბესაძემ 1 გ., მღ. კირი. ლამბაშიძემ 1 გ.,
მანვე გვაპატივა ნასესხები 10 მან. განსვენებუ-
ლის მღვდლის — სერაფიონ ჩიხლაძის ქვრივს და
ობლებს, მღ. ა. კვანტრიშვილმა 50 კ., მღ.
გ. მაღრაძემ 50 კ., მღ. ს. კაველაძემ 30 კ.
და მედავითნემ გიგო ბაკურაძემ 50 კაბ.— დიდ
მაღლობას უძღვნი ყველა შემოწირეველთ და
ჩენს უუკაილურებს მდგრადეობაში შემსვლელთ.
მასთანავე მაღლობას ესწირავ ქ. ჭუთაისის წ.
გიორგის ეკკლესიის მედავითნე — იაკოფ სირა-
ძეს, რომელმაც შემწეობასთან ერთად მიიღო
თავის თვეზე შრომა და რამდენიმეჯერ ჩამ-
ირა ქ. ჭუთაისის კორიბოლთა შორის.

მღვდლის სერაფიონ ჩიხლაძის ქვრივი ელენა
ჩიხლაძისა.

ՀԵԼՈՎՔԻՆՐՈ ԹԵՂՎԱԾԵԼՈ ՏԵՂՄԵ ՑԱՇԸՆՈՒՅՆ.
ՑԱՄՈՒՅՆ ԿՐԵԼՈ ՈՂՄԵԶ ԸՆԿԱՑԱ.

განცხადება

„ქმობის“ სტამბაში ამ უამაღ იბეჭ-
ლება და მოკლე დროში გამოვა გასა-
სყიდათ წიგნები

„სიცადვილე სახარებისა“
და უბის
„კევხვის ტყაოსანი“

ფასი თითოეული წევნისა ექვსი ზა-
ური. დაკვეთა დღეიდანვე შეიძლება.

სტამბა - „ქმობა“

კაზაკოვის ქუჩა, № 17,

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეს
ასრულებს დროზე და სუფთათ.
ფასები დაკლებულია.

სამხატვრო
სახელოსნო
უირიაკოვისა

კუთაისში.

ღებულობს ყოველგვარ სამხატვრო-
საჟურნალებით სამუშევერს, ას-
რულების ღროზე, სუფთათ, საიმუ-
ღოთ და სინიდისიერით.

ფასები ნახატების ღირსებაზე და
ზომაზეა დამოკიდებული და ყო-
ველ შემთხვევაში საშუალოა.

სამხატვროს ორავისთან დამოკიდებუ-
ლება და კიგშირი არა აქვს და ამი-
ტომ ყველას სთხოებს პირიდათ მას-
თან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზო-
გიერთ ჩარჩ მთარგმებს და მოიჯარა-
დრებს რომლებიც ჩვენი ფირმის
სახელით სარგებლობენ საქმის აღ-
ბის ღროს სოფლებში. სამუშევერს
პირობით ვლებულობთ, თუ მოწონე-
ბული არ იქნება სასულიერო მთავ-
რობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და
სხვას ვასრულებთ იმავ მთავრობის
შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს იმერეთის
და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსე-
ბის ნდობით.

აღრესი: „შინაური საქმეების“ რე-
დაქტორი ან კაზაკოვის ქუჩა № 17.

გამოცის სტამბაში

დაიბეჭდა და ისუიდება

„ენტის ფურულის“

(СПРАВОЧНЫЙ ЛИСТЪ)

ბლანკები.

(ქმობის სტამბაში)

დაიბეჭდა მეცნიერის ამოწერილობის ბლანკები.

იყიდება იქვე.

ქ. კუთაისში, სტამბა „მმობა“ კაზაკოვის შესახვევში სახლი № 17.